Interreg NEXT Black Sea Basin

Co-funded by the European Union

# LEARN4SEA

# NEWSLETTER

ევროკავშირის მიერ თანადაფინანსებული პროექტი Interreg NEXT შავი ზღვის აუზის პროგრამის ფარგლებში

ივნისი, 2026

## დასასრულისკენ მიმავალი გზა

### პროექტის მიზანი

პროექტის მთავარი მიზანია გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, საზოგადოებაში გარემოსადმი მეგობრული ქცევის წახალისება და დაბინძურების შემცირება.

### ვინ ვართ ჩვენ:

· რუმინეთის საზღვაო სასწავლო ცენტრი, რუმინეთი (RO) – CERONAV (წამყვანი პარტნიორი)

· შავი ზღვა - დუნაის კვლევისა და განვითარების ასოციაცია, ბულგარეთი (BG) – BDCA

· სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველო (GE) – NEA

· ფირი რეისის უნივერსიტეტი, თურქეთი (TR) – PRU

· შაბლას მუნიციპალიტეტი, ბულგარეთი (BG) - SM

## LEARN4SEA კონსტანცის „ვილჰელმ მოლდოვანის“ სკოლაში

2026 წლის 29 იანვარს LEARN4SEA პროექტის ფარგლებში ვეწვიეთ ქალაქ კონსტანცის „ვილჰელმ მოლდოვანის“ სკოლის მე-3 და მე-4 კლასების მოსწავლეებს, სადაც ჩატარდა არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობა.

შეხვედრის ფარგლებში ვისაუბრეთ გარემოს დაცვის მნიშვნელობასა და იმ ქმედებებზე, რომელთა განხორციელებაც თითოეულ ჩვენგანს შეუძლია ჩვენი პლანეტის შესანარჩუნებლად. მოსწავლეებმა აქტივობაში დიდი ენთუზიაზმით, ინტერესითა და აქტიური ჩართულობით მიიღეს მონაწილეობა.

მოსწავლეებმა დასვეს საინტერესო და გააზრებული კითხვები, გამოავლინეს გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული საკითხების მაღალი ცნობიერება და გულწრფელი სურვილი, საკუთარი წვლილი შეეტანათ პოზიტიური ცვლილებების განხორციელებაში. ღონისძიების ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ნაწილი იყო შესაძლებლობა, ვირტუალური რეალობის (VR) სათვალეების გამოყენებით გაეცნოთ CERONAV-ის სპეციალისტების მიერ მომზადებულ საგანმანათლებლო მასალები. საგანმანათლებლო თამაშებთან ერთად, ამ რესურსებმა სასწავლო პროცესი ინტერაქტიულ და საინტერესო გამოცდილებად აქცია.

სასიამოვნო იყო ახალგაზრდა თაობაში ასეთი დიდი ენთუზიაზმის, გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის მაღალი შეგრძნების ხილვა. მათმა ინტერესმა და აქტიურმა ჩართულობამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი საზოგადოებისა და გარემოს მომავალი საიმედო ხელშია.



## ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გამართულმა მეორე ეროვნულმა სამუშაო შეხვედრამ ხაზი გაუსვა ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას შორის სინერგიის როლ

2026 წლის 24 თებერვალს, LEARN4SEA-ის პროექტის ფარგლებში, შავი ზღვა–დუნაის კვლევისა და განვითარების ასოციაციამ (BDCA) მეორე ეროვნული სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საგანმანათლებლო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ვარნის საოლქო ადმინისტრაციის უფროსი ექსპერტები, ქალაქ შაბლას ვიცე-მერი, „Maritime Cluster Bulgaria“-ის, ვარნის ტექნიკური უნივერსიტეტის, თევზის რესურსების ინსტიტუტის, ვარნის მეწარმეობისა და ინოვაციების რეგიონული სააგენტოს, ორი საშუალო სკოლისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები

დისკუსიების მთავარი თემა იყო საერთო ხედვა, რომ შავი ზღვის რეგიონის დაცვა მხოლოდ პოლიტიკასა და ინფრასტრუქტურაზე არ არის დამოკიდებული — ამისთვის ასევე აუცილებელია ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი საზოგადოება.

მონაწილეებმა იმსჯელეს გარემოს დაცვის ხელშეწყობის პრაქტიკულ მიდგომებზე, რომლებიც ქცევითი ცვლილებების, განათლების, ინოვაციებისა და მოქალაქეთა აქტიური ჩართულობის გზით ხორციელდება. შთამაგონებელი წვლილი შეიტანეს „კაპიტან პეტკო ვოივოდას“ სახელობის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა, რომელიც გარემოსდაცვითი განათლების ფონდის (FEE) საერთაშორისო „ეკოსკოლების“ პროგრამის მონაწილეა, ასევე ვარნის საზღვაო პროფესიული სკოლის წარმომადგენლებმა, რომლებმაც კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სკოლები ადრეული ასაკიდანვე გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებაში. შეხვერის ფარგლებშიასევე წარმოდგენილი იყო ვირტუალური რეალობის (VR) ინტერაქტიული გარემო, რომლის მეშვეობითაც ნაჩვენები იქნა ინოვაციური საგანმანათლებლო შესაძლებლობები, რომლებიც ხელს უწყობს გარემოსდაცვითი საკითხების უკეთ გააზრებას და ახალგაზრდებში ამ თემების მიმართ ინტერესის გაღრმავებას.

სამუშაო შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართული დისკუსიით დასრულდა, რომლის შედეგადაც შემუშავდა რეკომენდაციები ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებისა და შავი ზღვის მომავალი თაობებისთვის შენარჩუნების მიზნით.

## ვიზიტი LEARN4SEA-ის გარემოსდაცვით საინფორმაციო ცენტრში

2026 წლის 23 მარტს, LEARN4SEA-ის გარემოსდაცვითი საინფორმაციო ცენტრი ვარნაში და BDCA-ის გუნდი მასპინძლობდნენ ვარნის მეწარმეობისა და ინოვაციების რეგიონული სააგენტოს (RAPIV) წარმომადგენლებს, ასევე STREAM IT-ის ნიჭის განვითარების პროგრამის მონაწილეებს

ვიზიტის ფარგლებში მონაწილე გოგონები გაეცნენ გარემოს დაცვის, წყლის მონიტორინგისა და ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მიმართულებით განხორციელებულ მრავალფეროვან საქმიანობას. პროგრამა ასევე მოიცავდა ინტერაქტიულ თამაშებს, რომელთა მეშვეობითაც მონაწილეებმა შეამოწმეს და გაიღრმავეს ცოდნა შავი ზღვისა და მისი ბინადრების შესახებ.

ვიზიტის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწილი იყო შესაძლებლობა, გამოეცადათ LEARN4SEA-ის პროექტის ფარგლებში შემუშავებული, გარემოსდაცვით საკითხებზე ორიენტირებული უახლესი ვირტუალური რეალობის (VR) სასწავლო პროგრამა. ამ ინოვაციურმა გამოცდილებამ სასწავლო პროცესი მართლაც საინტერესო, ინტერაქტიულ და დასამახსოვრებელ გამოცდილებად აქცია.

ღონისძიება შთამაგონებელი აღმოჩნდა და მკაფიოდ წარმოაჩინა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი როლი ბუნების დაცვასა და გარემოს შენარჩუნებაში.

## LEARN4SEA მეშვიდე კლასის მოსწავლეებთან ერთად „ოვიდიუსის“ საშუალო სკოლაში

2026 წლის 30 მარტს, რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში მდებარე „ოვიდიუსის“ საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის 25 მოსწავლე LEARN4SEA-ის პროექტის ფარგლებში ორგანიზებული არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობის ფარგლებში CERONAV-ს ეწვია. ვიზიტმა მოსწავლეებს უნიკალური შესაძლებლობა მისცა, ინოვაციური და ინტერაქტიული საგანმანათლებლო გამოცდილების მეშვეობით გაცნობოდნენ საზღვაო სფეროს. შეხვედრის განმავლობაში მათ მიიღეს ინფორმაცია LEARN4SEA-ის პროექტის, მისი მიზნებისა და ახალგაზრდებში გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და მდგრადი პრაქტიკის ხელშეწყობაში მისი მნიშვნელობის შესახებ. მოსწავლეები დიდი ინტერესით ჩაერთნენ პროექტის გუნდის მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო თამაშებში და გამოსცადეს პროექტის ფარგლებში შექმნილი ვირტუალური რეალობის (VR) აპლიკაცია, რომელმაც მათ საზღვაო და გარემოსდაცვითი საკითხების განსხვავებული, ინტერაქტიული აღქმის შესაძლებლობა მისცა.

ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი და ყველაზე შთამბეჭდავი ნაწილი იყო CERONAV-ის თანამედროვე სიმულატორებისა და საზღვაო ტექნოლოგიების გაცნობა, რამაც მოწაწილეებს თანამედროვე საზღვაო განათლების, პროფესიული მომზადებისა და საზღვაო კარიერული შესაძლებლობების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა. ინტერაქტიული დისკუსიებისა და პრაქტიკული აქტივობების მეშვეობით მოსწავლეებმა იმსჯელეს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მქონე ქცევის მნიშვნელობაზე და გააცნობიერეს, თუ რა მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია თითოეულ ადამიანს დაბინძურების შემცირებასა და ზღვის ეკოსისტემების დაცვაში. მოსწავლეების ცნობისმოყვარეობამ და აქტიურმა ჩართულობამ ვიზიტი მართლაც ღირებულ და დასამახსოვრებელ საგანმანათლებლო გამოცდილებად აქცია. აქტივობამ არა მხოლოდ გააფართოვა მათი ცოდნა საზღვაო სფეროს შესახებ, არამედ კიდევ უფრო გააღრმავა გარემოს დაცვის მნიშვნელობის გააზრება და წაახალისა ისინი, მომავალში ჩამოყალიბდნენ უფრო ინფორმირებულ და პასუხისმგებლიან მოქალაქეებად.

## LEARN4SEA ბათუმში, საქართველო: მომავალი თაობის შთაგონება

2026 წლის აპრილის განმავლობაში გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ბათუმში სკოლის მოსწავლეთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით არაერთი საგანმანათლებლო აქტივობა განახორციელა. ღონისძიების ფარგლებში სააგენტოს რეგიონულ ოფისში მოსწავლეებთან შეხვედრა გაიმართა, სადაც გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის სპეციალისტებმა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. შეხვედრის ფარგლებში მოსწავლეებმა ასევე წარადგინეს პრეზენტაციები შავი ზღვის თემაზე. მონაწილეები გაეცნენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, მათ შორის, გარემოსდაცვით თემებზე შექმნილ საგანმანათლებლო თამაშებს, რომლებიც ვირტუალური რეალობის (VR) სათვალეების გამოყენებით იყო წარმოდგენილი. მოსწავლეები ასევე ეწვივნენ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგურს, სადაც პრაქტიკულად გაეცნენ მუშაობის პრინციპებს.

გარდა ამისა, ბათუმის ცენტრალური პარკის ტბაზე წარმოდგენილი იყო ქართული გარემოსდაცვითი საინფორმაციო ცენტრის (EIC) შემადგენელი ინოვაციური დრონი, რომელიც წყლის ზედაპირიდან ნარჩენების შეგროვებისთვის არის განკუთვნილი. აღნიშნული ტექნოლოგია უკვე წარმატებით გამოიყენება ევროპის მრავალ ქვეყანაში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზღვებისა და ტბების დაბინძურების შემცირებაში. ყველა აღნიშნული აქტივობა განხორციელდა LEARN4SEA-ის პროექტის ფარგლებში და მიზნად ისახავდა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, მოქალაქეებში გარემოს მიმართ პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების გაძლიერებასა და შავი ზღვის აუზის მასშტაბით დაბინძურების შემცირების ხელშეწყობას.

## შავი ზღვის რეგიონში ინოვაციებისა და სწავლების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება

2026 წლის 22 აპრილს, რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში გამართულ ANEMONE PLUS (BSB00949) პროექტის პირველი ფაზის დაინტერესებულ მხარეთა თანაშემოქმედებითი (Co-Design) სამუშაო შეხვედრაში LEARN4SEA-ის პროექტის წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ღონისძიება, რომელიც Interreg NEXT Black Sea Basin Programme 2021–2027-ის ფარგლებში გაიმართა, სახელმწიფო უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი სექტორის, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს აერთიანებდა. მისი მიზანი იყო დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით WebGIS პლატფორმის შემუშავება, რომელიც შავი ზღვის საზღვაო ეკოსისტემაზე ადამიანის საქმიანობით გამოწვეული ზეწოლის მიმართ მოწყვლადობის შეფასებას ემსახურება.

რუმინეთის შავი ზღვის სანაპიროზე მიმდინარე Interreg-ის პროექტებისადმი მიძღვნილი სესიის ფარგლებში, LEARN4SEA-ის პროექტის წარმომადგენლებმა წარადგინეს პროექტის ინოვაციური მიდგომა საზღვაო განათლებისა და შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით. ღონისძიებაში მონაწილეობის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი იყო CERONAV-ის ექსპერტების მიერ ვირტუალური რეალობის (VR) ტექნოლოგიის გამოყენებით შემუშავებული ინტერაქტიული სასწავლო მასალების პრაქტიკული წარდგენა. მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, პროექტის ფარგლებში შეძენილი VR-სათვალეების გამოყენებით თავად გამოეცადათ აღნიშნული სასწავლო მოდულები და უშუალოდ ენახათ, თუ როგორ უწყობს ხელს ციფრული ტექნოლოგიები ლურჯი ეკონომიკის სფეროში ცოდნისა და უნარების განვითარებას.

სამუშაო შეხვედრამ მნიშვნელოვანი შესაძლებლობა შექმნა:

- Interreg-ის სხვადასხვა ინიციატივის ფარგლებში ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისთვის
- გარემოს დაცვისა და საზღვაო განათლების მიმართულებით განხორციელებულ პროექტებს შორის სინერგიის ხელშეწყობისთვის;
- დაინტერესებული მხარეების ერთობლივი გადაწყვეტილებების შემუშავების პროცესში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობისთვის.

LEARN4SEA აგრძელებს ინოვაციური, ციფრული და პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომების ხელშეწყობას, რითაც ხელს უწყობს შავი ზღვის რეგიონის მდგრად განვითარებასა და გამოწვევებთან გამკლავების შესაძლებლობების გაძლიერებას.

.

## პირველი ფესტივალი “Meeting with Turquoise” – გარემოსდაცვითი განათლების მხარდასაჭერად

2026 წლის 28 აპრილს, სტამბოლის თუზლას რაიონში მდებარე ქამილ აბდუშის ლაგუნის პარკში გამართული პირველი ფესტივალის “Meeting with Turquoise” (Turkuazla Buluşma) ფარგლებში წარმატებით წარიმართა გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისკენ მიმართული აქტივობები. ღონისძიება, რომელიც ჩატარდა სლოგანით – "Let's Keep Our Seas Clean" (ვიზრუნოთ ჩვენი ზღვების სისუფთავეზე) , – აერთიანებდა მოსწავლეებს, პედაგოგებს, არასამთავრობო ორგანიზაციების, საჯარო უწყებებისა და ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებს. ფესტივლის მიზანი იყო ცნობიერების ამაღლება ზღვის დაბინძურების, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისა და მდგრადი გადაწყვეტილებების მნიშვნელობის შესახებ.

ფესტივალს 1 000-ზე მეტი ადამიანი დაესწრო, მათ შორის – 650 საშუალო საფეხურის მოსწავლე. ღონისძიების ერთ-ერთი მთავარი ნაწილი იყო LEARN4SEA-ის პროექტის ფარგლებში შექმნილი ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო საშუალებების წარდგენა, მათ შორის – ვირტუალური რეალობის (VR) საგანმანათლებლო თამაშების, ზღვისა და საჰაერო დრონების, საგანმანათლებლო ვიდეომასალებისა და ჰაერის გამწმენდი მოწყობილობის.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პროექტის ფარგლებში Piri Reis-ის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულმა VR-თამაშმა, რომელიც ნარჩენების დახარისხებასა და გადამუშავებას ეხებოდა და მოსწავლეებს ინტერაქტიული გამოცდილების მეშვეობით ნარჩენების სწორი მართვის პრაქტიკულ უნარებს აცნობდა. გარემოსდაცვითი განათლების, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალგაზრდების აქტიური ჩართულობის გაერთიანებით, ღონისძიებამ ხელი შეუწყო ზღვის დაცვის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და წარმოაჩინა ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული თანამშრომლობის დადებითი გავლენა ადგილობრივ საზოგადოებაზე.

## LEARN4SEA-ის პროექტის ფარგლებში გარემოსდაცვითი საინფორმაციო ცენტრების (EIC) ქსელის საპილოტე გამოცდის ფარგლებში, კონსტანცაში (რუმინეთი) გარემოსდაცვითი საინფორმაციო ცენტრი გაიხსნა.

2026 წლის 15 მაისს, რუმინეთის საზღვაო მომზადების ცენტრმა – CERONAV-მა ქალაქ კონსტანცაში ოფიციალურად გახსნა LEARN4SEA-ის გარემოსდაცვითი საინფორმაციო ცენტრი. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები, მათ შორის – როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ისე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. ასევე, ღონისძიებას ესწრებოდნენ კონსტანცის ოლქის სასკოლო ინსპექტორატის და Interreg NEXT Black Sea Basin Programme-ის წარმომადგენლები. ღონისძიებას ასევე აშუქებდნენ ცხრა სხვადასხვა მედიაორგანიზაციის წარმომადგენლები. მასში მონაწილეობა მიიღეს LEARN4SEA-ის პროექტის პარტნიორმა ორგანიზაციებმა – BDCA-მ (ბულგარეთი) და Piri Reis-ის უნივერსიტეტმა (თურქეთი).

საპილოტე აქტივობის (Output 1.2) ფარგლებში გამოიცადა ახლად შექმნილი ურთიერთდაკავშირებული გარემოსდაცვითი საინფორმაციო ცენტრების (EIC) ქსელი, რომლის მიზანია შავი ზღვის აუზში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და გარემოს მიმართ პასუხისმგებლიანი ქცევის ხელშეწყობა. საპილოტე აქტივობის მთავარი მიზანი იყო არაფორმალური გარემოსდაცვითი განათლებისთვის შექმნილი ახალი პლატფორმის ეფექტიანობისა და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების შეფასება. აღნიშნული პლატფორმა შეიქმნა იმ საჭიროების საპასუხოდ, რომელიც რეგიონში გარემოს დაცვისა და დაბინძურების შემცირების ხელშესაწყობად თანამედროვე საგანმანათლებლო პლატფორმის არარსებობით იყო განპირობებული.

დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული უკუკავშირის საფუძველზე დადგინდა, რომ გარემოსდაცვითი საინფორმაციო ცენტრების (EIC) დამაკავშირებელმა ვებპორტალმა წარმატებით მიაღწია დასახულ მიზნებს და მომხმარებლების მიერ აღიქმება, როგორც გარემოსდაცვითი ინფორმაციის გავრცელებისა და არაფორმალური განათლებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით მიღებული მაღალი შედეგები ადასტურებს, რომ პლატფორმა წარმოადგენს ეფექტიან, ხელმისაწვდომ და მარტივად გამოსაყენებელ გადაწყვეტას, რომელიც ხელს უწყობს შავი ზღვის აუზის რეგიონში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას.

CERONAV-ის მიერ ქალაქ კონსტანცაში დაფუძნებული გარემოსდაცვითი საინფორმაციო ცენტრი წარმოადგენს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების, არაფორმალური განათლებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის რეგიონულ ჰაბს რუმინეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლში. ცენტრი შექმნილია ბენეფიციართა ფართო წრის მხარდასაჭერად, მათ შორის მოსწავლეების, სტუდენტების, მასწავლებლების, მკვლევრების, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლების, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლებისა და გარემოს დაცვის საკითხებით დაინტერესებული მოქალაქეებისთვის.

შენიშვნა: LEARN4SEA
მასალის რედაქტორი: CERONAV;
მასა;ლის რედაქტორის საკონტაქტო ინფორმაცია :
alinaoprea@ceronav.ro;
გამოქვეყნების თარიღი: 23.06.2026.
ამ მასალის შინაარსზე პასუხისმგებლობა ეკისრება მის ავტორ(ებ)ს. მასალის შინაარსი შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.
მასალის გამოყენება ნებადართულია წყაროს მითითების პირობით და იმ შემთხვევაში, თუ შეტანილი ცვლილებები სათანადოდ იქნება აღნიშნული.

LEARN4SEA-ის პროექტი მიზნად ისახავს შავი ზღვის აუზში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასა და მდგრადი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას,
თვალი ადევნეთ ინფორმაციას მომავალი ღონისძიებების, კვლევის შედეგებისა და საგანმანათლებლო ინიციატივების შესახებ!

**საკონტაქტო ინფორმაცია**
წამყვანი პარტნიორი: CERONAV – რუმინეთის საზღვაო მომზადების ცენტრი, კონსტანცა, რუმინეთი.
საკონტაქტო პირი: პროექტის მენეჯერი, ქალბატონი მიჰაელა ვინტილა
ტელ.: +40 241 639 595 (შიდა ნომერი: 1117)
ელ. ფოსტა: mihaelavintila@ceronav.ro
ვებგვერდი: www.ceronav.ro

Interreg NEXT Black Sea Basin
Co-funded by the European Union
LEARN4SEA